ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

საგამოცდო ცენტრის დებულება

დამტკიცებული:

სენატის სხდომის ოქმი N8.

თარიღი: 05.04.2023 წ.

დადგენილება N19.

ცვლილება:

სენატის სხდომის ოქმი N1.

თარიღი: 15.01.2025 წ.

დადგენილება N16.

მუხლი 1. საგამოცდო ცენტრი

1.1. დებულება განსაზღვრავს „ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის“ (შემდგომში „უნივერსიტეტი“) საგამოცდო ცენტრის (შემდგომში „ცენტრი“) ფუნქციებს, საგამოცდო პროცესში ჩართული პირების უფლება - მოვალეობებსა და საგამოცდო პროცესის ორგანიზების პირობებსა და წესს.

1.2. დებულება შემუშავებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის დებულებისა და სხვა შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

1.3. წინამდებარე დებულება უზრუნველყოფს ერთიანი პროცედურით შუალედური, დასკვნითი, დამატებითი გამოცდების ორგანიზებასა და ჩატარებას.

მუხლი 2. საგამოცდო ცენტრის ფუნქცია - მოვალეობები

2.1. საგამოცდო ცენტრის ფუნქციებია:

ა. საგამოცდო პროცესის გამჭვირვალედ ჩატარების უზრუნველყოფა;

ბ. უნივერსიტეტში შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდების მოწყობა, ორგანიზება;

გ. საგამოცდო პროცესის მონიტორინგი, შეფასება და გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების მიზნით, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისთვის წარდგენა;

დ. საგამოცდო პროცესში მონაწილე პირებისათვის გამოცდებთან დაკავშირებული ინფორმაციის დროული და სრულყოფილი მიწოდება;

ე. სააპელაციო პროცესების გამჭვირვალედ ჩატარების უზრუნველყოფა;

ვ. საგამოცდო საკითხების კონფიდენციალურობის დაცვა;

ზ. შუალედური, დასკვნითი, დამატებითი გამოცდების მასალების მომზადება გამოცდებამდე, სულ მცირე, 1 (ერთი) კვირით ადრე;

თ. გამოცდის დასრულების შემდგომ საგამოცდო ნაშრომების/ტესტების სასწავლო კურსის ხელმძღვანელისთვის გადაცემა;

ი. გამოცდის შედეგების (სტუდენტთა შეფასებების) სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ ბაზაში შეტანა.

მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა

3.1. ცენტრს მართავს ხელმძღვანელი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

3.2. საგამოცდო პროცესს აკვირდება დამკვირვებელი;

3.3. დამკვირვებელს უნივერსიტეტში შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდების პერიოდში იწვევს ცენტრის ხელმძღვანელი. დამკვირვებელი მოიწვევა ცენტრიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან სკოლის წარმომადგენლობიდან;

მუხლი 4. დამკვირვებელი

4.1. დამკვირვებელი - პირი არის ცენტრის და/ან სკოლის წარმომადგენელი;

4.2. დამკვირვებელი - პირი ანგარიშვალდებულია ცენტრის და/ან სკოლის წინაშე;

4.3. დამკვირვებელი:

ა. გამოცდების დღეს უნივერსიტეტში გამოცხადდეს სულ მცირე 1 (ერთი) საათით ადრე;

ბ. დამკვირვებელი ვალდებულია იყოს მიუკერძოებელი, სამართლიანი, ობიექტური და უზრუნველყოფდეს საგამოცდო პროცესის გამჭვირვალობას;

გ. დამკვირვებელი ვალდებულია გამორიცხოს საგამოცდო თუ სხვა სახის აკადემიური თაღლითობები.

4.4. საგამოცდო თუ სხვა სახის აკადემიური თაღლითობების გამოვლენის შემთხვევაში მიიღოს შესაბამისი ზომები:

ა. გაფრთხილება;

ბ. პროცესებიდან ჩამოშორება;

გ. დისციპლინური წარმოების დაწყება.

მუხლი 5. გამოცდების ჩატარების პროცედურები

5.1. სტუდენტი ვალდებულია გამოცდაზე გამოცხადდეს გამოცდის დაწყებამდე 15 (თხუთმეტი) წუთით ადრე პირადი მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტით.

5.2. დამკვირვებელი, ვალდებულია სტუდენტებს გააცნოს ქცევის წესები და თვალყური ადევნოს საგამოცდო პროცესს.

5.3. გამოცდაზე დაუშვებელია:

ა. ხმაური, გადალაპარაკება, ასევე სხვისი ნაშრომის გამოყენება/გადაწერა;

ბ. სხვა პირებთან კონსულტირება ან ურთიერთობა გამოცდის პერიოდში;

გ. გამოცდაზე კალკულატორის ან ნაბეჭდი მასალის გამოყენება, გარდა საგამოცდო საკითხით გათვალისწინებულისა. აღნიშნული განისაზღვრება მხოლოდ სასწავლო კურსის განმახორციელებელი პირის გადაწყვეტილებით;

დ. მობილური ტელეფონის, აიპადის, კალკულატორის, სხვა ელექტრონული ხელსაწყოს გამოყენება;

ე. საგამოცდო ნაშრომის ჩაბარებამდე საგამოცდო ოთახის დატოვება ნებისმიერი მიზეზით, გარდა ჯანმრთელობის მდგომარეობით განპირობებულისა.

5.4. სტუდენტისათვის მიცემული გაფრთხილების და დამკვირვებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, სტუდენტი შესაძლებელია მოიხსნას გამოცდიდან.

5.5. სტუდენტის გამოცდიდან მოხსნის საფუძველია:

ა. სხვა პირის ნაცვლად გამოცდის ჩაბარების მცდელობა;

ბ. ალკოჰოლის, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნა;

გ. ეთიკური და დისციპლინური ნორმების უგულებელყოფა.

მუხლი 6. გამოცდების ავტომატური სისტემა

6.1. საგამოცდო პროცესი უნივერსიტეტში მიმდინარეობს ელექტრონული პროგრამის გამოყენებით;

6.2. უნივერსიტეტში შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდის დაწყებამდე მზადდება საგამოცდო საკითხების ბაზა (კითხვების ბანკი);

6.3. შესაბამისი სასწავლო კურსის განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალი ვალდებულია, საგამოცდო მასალა/საკითხები მიაწოდოს საგამოცდო ცენტრს სულ მცირე 2 (ორი) კვირით ადრე;

6.4. საგამოცდო ტესტის დაწყებამდე სტუდენტს მიეწოდება ერთჯერადი კოდი;

6.5. სტუდენტს ტესტი მიეწოდება კითხვების ბანკიდან შემთხვევითობის პრინციპით. სავარაუდო პასუხების წყობა ყოველ ჯერზე შეცვლილია;

მუხლი 7. საგამოცდო ნაშრომების გასწორება

7.1. საგამოცდო ცენტრი ვალდებულია გამოცდის დასრულების შემდგომ კურსის განმახორციელებელ პერსონალს გადაუგზავნოს საგამოცდო ნაშრომები მისი გასწორების მიზნით;

7.2. სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი ვალდებულია გაასწოროს საგამოცდო ნაშრომები მასალების გამოთხოვიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში და ასახოს სტუდენტური ბაზის სასწავლო კურსის უწყისში;

7.3. გამოცდის შედეგების ელექტრონულ ბაზაში ასახვა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა;

7.4. სასწავლო კურსის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, გამოცდის ხანგრძლივობა, (ისევე, როგორც საგამოცდო საკითხები), ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

მუხლი 8. შედეგების გასაჩივრება

8.1. სტუდენტი უფლებამოსილია, შედეგების გამოქვეყნებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში, მიმართოს საგამოცდო ცენტრს წერილობით, შედეგების გასაჩივრების მიზნით.

8.2. ცენტრი ვალდებულია, განაცხადის/საჩივრის მიღების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს დეკანს/დეკანებს სააპელაციო კომისიის შექმნის საჭიროების შესახებ.

8.3. ცენტრი ვალდებულია, განაცხადის/საჩივრის მიღებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში, გააცნოს სტუდენტის ნაშრომი სააპელაციო კომისიას.

8.4. სააპელაციო კომისია ვალდებულია, 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში განიხილოს სტუდენტის ნაშრომი. მიღებული შედეგის ცვლილების ან იმავე შეფასების დატოვების შემთხვევაში, სააპელაციო კომისია წარუდგენს საგამოცდო ცენტრს დასაბუთებულ დასკვნას.

8.5. სააპელაციო კომისიის წევრი შეიძლება იყოს:

ა. დარგის სპეციალისტი აკადემიური პერსონალი;

ბ. დარგის სპეციალისტი მოწვეული პერსონალი;

გ. შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი;

დ. შესაბამისი სკოლის დეკანი;

8.6. სააპელაციო კომისიის შემადგენლობას, შესაბამისი სკოლის დეკანი წერილობითი ფორმით წარუდგენს რექტორს დასამტკიცებლად.

8.7. სააპელაციო კომისიის დასკვნა საბოლოოა და აისახება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ ბაზაში, რომელიც, თავის მხრივ, აუქმებს იქამდე არსებულ შეფასებას.

მუხლი 9. სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები

9.1. სტუდენტს უფლება აქვს:

ა. შედეგების გამოქვეყნებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში, მიმართოს საგამოცდო ცენტრს წერილობით, შედეგების გასაჩივრების მიზნით;

ბ. გამოცდაზე ვერ/არ გამოცხადების შემთხვევაში, წარმოადგინოს გაცდენის საპატიო მიზეზის დამადასტურებელი დოკუმენტი.

9.2. სტუდენტი ვალდებულია:

ა. დაიცვას ეთიკური და დისციპლინური ნორმები;

ბ. გამოცდაზე წარმოადგინოს (ერთ - ერთი) საიდენტიფიკაციო დოკუმენტი:

- პირადობის მოწმობა (საქართველოს მოქალაქეებისთვის);
- მოქმედი პასპორტი;
- სტუდენტური ბარათი;
- ბინადრობის მოწმობა (უცხოელი სტუდენტებისთვის).

გ. დაემორჩილოს დამკვირვებლის მითითებებს.

9.3. გამოცდაზე ვერ/არ გამოცხადების შემთხვევაში, სტუდენტი წერს განცხადებას უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელის სახელზე და წარადგენს გაცდენის საპატიო მიზეზის დამადასტურებელ დოკუმენტს გამოცდის აღდგენის მოთხოვნით;

9.4. საპატიო მიზეზად შესაძლებელია ჩაითვალოს:

ა. სამედიცინო ცნობა;

ბ. საგანგებო ვითარების დამადასტურებელი დოკუმენტი (ცნობა პოლიციიდან, საგზაო შემთხვევა);

გ. სამხედრო ან სახელმწიფო ვალდებულების ცნობა.

9.5. საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელი განიხილავს სტუდენტის განცხადებას და იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტის მიერ გამოცდის აღდგენის შესაძლებლობის შესახებ.

მუხლი 10. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

10.1. წინამდებარე დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის სენატი;

10.2. უნივერსიტეტის წინამდებარე დებულება მოქმედებს ხელმოწერისთანავე;

10.3. დებულების მიღება, გაუქმება, ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სენატის მიერ;

10.4. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.

სხდომის თავმჯდომარე:

მარინე კობალავა

სხდომის მდივანი:

ნინო მახარაძე